

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ აბშილავა

**საბანკო პროცენტი – მეთოდოლოგია და მისი ფორმირებისა
და გამოყენების მექანიზმების სრულყოფა
თანამედროვე პირობებში**

ფინანსების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

სადოქტორო პროგრამა - 0204 შიფრი

თბილისი

2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი:

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი

/რ.ბურდიაშვილი /

ოფიციალური რეცენზენტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

/.../

ოფიციალური რეცენზენტი

მოწვეული პროფესორი

/.../

დაცვა შედგება 2016 წლის ----- ივლისს ----- საათზე, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერ-
ტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

პროფესორი

/ს. ხიზანიშვილი/

Summary

Dissertation work on the subject: “Bank interest - Methodology and improvement of its forming and mechanisms of using in modern terms” is rather active in conditions of market economy.

In recent years, role of interest in market reorganization process has rather changed. It has come out of role, which it had in stimulation frame of fastening development of economy. Unrestricting on value of interest rate has returned its character to the interest and movable motive quality of development of credit relations, commercialization of banking activities.

Recent years were not successful, not only for solving problems of total level of interest rate, but also in the sphere, where the interest is used, as instrument of making economical policy.

Economic role of bank interest is rather significant and substandard. Interest comes from credit relations and has become the motive and necessary attribute for development of these relations, though role of interest has showed up out of the range of direct relations of debtor. The interest takes part not only in the movement of lend, but also in the movement of any other value. Thus, influence of interest on various aspects of industrial relations is so big, that level of interest rate has become such important macro-economical point, by which evaluation of recent and prognosis situation of country's economics is done together with budgetary and other parameters.

Rather many problems have been gathered in the sphere of pursuing the policy on the level of commercial banks. Disproportion of prices is mentioned on money market, when bank credits are very high for debtor, an interest too less on the deposit for bank's depositor. Such condition makes problem before the banks, resolving of which is necessary anyway and they have to do it every day. Thus banks have to make decisions in condition of strict competition struggle on the background of total tendencies of lowering profitability of bank operations.

Economics, which has arisen as a science on wealth, during studying it, as a subject, has discovered many before used and now existing recipes, by which high-performance management of economy and searching of ways of becoming wealthy is possible. It is natural, that such method of wealth growing would not stay without scientist's attention, such as – interest.

Despite the fact, that interest is the method of becoming wealthy with its economical form, or for the reason that, becoming wealthy with interest was not stipulated by anything, except wealth, the interest has deserted a very negative dependence in the economic science. We can say, that process of forming of system of scientific opinion about economical arrangement of society was held with ignoring of interest - denying of interest was so unanimous and absolute by economical scientists. It has been continued in recent historical periods of these scientists during almost for two thousand years.

For our today's reality bank interest is very important macro-economical indicator, volume and change of which is equally important as for bankers, financiers,

investors and analysts, also for entrepreneurs and citizens. Thereof, it is natural, that bank interest rate – this is a main price, the main indicator of national economic condition. Bank interest is one of the most important instruments of regulation of macro and micro economic, which exceeds other instruments of influencing on economics with its meaning and simplicity.

Of course commercial banks cannot make pricing or quantity of receivable interest on their credit product with their sole discretion. If commercial bank puts credit product on market with more important price than market price, it will not be bought, and in case of low price, its financial results will be unsatisfied. Price of credit product of concrete commercial bank or interest rate must be competitive.

Commercial banks establish interest rates, with the orientation on the rate of refinancing of central bank of their countries; the same is also in practical application in Georgia on average and long-term credits (For example on mortgage debts). In structure of such interest rate, interest of deposits takes important role, or the price of obtained most overcharged resource. Interests, paid to depositors by banks, are always significantly less than the price of issued credits. Based on this difference one of the most important indicator and resource – interest margin is formatted.

The following issues based on the experience of Georgia and abroad are firstly studied in the work: Theoretical fundamentals of interest and its historical development; formulation of appropriateness of methodological basis of interest development is given on the basis critical analysis of known theories. Conclusion are made form the position of scientific concepts of industrial factors on necessity of further development of theory of interest; functions of interest are formulated as: a) measuring of capital value of lend mean; b) mean od payment and purchase, by which estimation, purchase and payment of temporary use by subject; issue of extra charge of difficult and simple interest is précised and concretized, that dividend on extra charged with formula of complicated interest is more than on simple, except extra charged in 1 year period, where dividend extra charged with formula of simple interest is more than on complicated.

Sentences and recommendations processed in the work, after final improvement and treatment, shall be brought to certain organizational-methodological, methodical and practical measures and sentences, which will have an important meaning in upgrading effectiveness of activities of commercial banks.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. საბანკო პროცენტის ეკონომიკური როლი მეტად მრავალმნიშვნელოვანი და არასტანდარტულია. პროცენტი წარმოიქმნა საკრედიტო ურთიერთობებიდან და გახდა ამ ურთიერთობათა განვითარების მამოძრავებელი მოტივი და აუცილებელი ატრიბუტი. თუმცა პროცენტის როლი გამომჟღავნდა კრედიტორისა და მსესხებლის პირდაპირი ურთიერთობათა საზღვრებს ფარგლების გარეთ. პროცენტი მონაწილეობს არა მხოლოდ გასესხებული, არამედ ნებისმიერი სხვა ღირებულებების მოძრაობაში. ეს მიმდინარეობს ყოველთვის, როცა კაპიტალის დაბანდების ზომები და მიმართულება განისაზღვრება გასესხებული სახსრების შემოსავლიანობის შეფარდებით შემოსავლების იმ რაოდენობასთან, რომელიც ეკუთვნის კაპიტალის გამცემს. ამასთან, პროცენტის გავლენა საწარმოო ურთიერთობათა სხვადასხვა ასპექტზე იმდენად დიდია, რომ საპროცენტო განაკვეთის დონე დიდი ხანია გახდა ის უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომლითაც საბიუჯეტო და სხვა პარამეტრებთან ერთად ხდება ქვეყნის ეკონომიკის მიმდინარე და საპროგნოზო მდგომარეობის შეფასება.

პროცენტი, რომელსაც ენიჭება ასეთი მნიშვნელოვანი როლი, ყოველთვის იყო ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკოსთა ყურადღების ცენტრში, საკმარისია დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე მეცნიერული კვლევა, რომლებმაც განავითარა თეორია პროცენტის შესახებ და რომლებმაც ეკონომიკური აზროვნების ისტორია დაყო პერიოდებად: "იქამდე" და "მას შემდეგ". ქსენოფონტის, ა. სმიტის, კ. მარქსის, ო. მენ-ბავერკის, ი. ფიშერის, ჯ.კეინსის გამოკვლევების უმრავლესობა ამის ნათელი მაგალითია. პროცენტის განვითარების პრაქტიკასთან დაკავშირებულია საპროცენტო სესხების აკრძალვა ძველი სამყაროსა და შუასაუკუნეების პერიოდში, რაც გამოიხატა კიდევ პროცენტისადმი უარყოფით დამოკიდებულებაში, როგორც საზოგადოების ასევე ეკლესიის მხრიდან. ასეთი ფაქტები დაფიქსირებულია უახლესი ისტორიის პერიოდშიც. თანამედროვე პირობებში, საპროცენტო განაკვეთების

დარიცხვასთან დაკავშირებული შემდეგი მეცნიერების ნაშრომები გვაქვს გამოყენებული: თ. ტორონჯაძე, ნ. ლაზარივა, მ. მანია, გ. მირზაშვილი, ო. ლლონტი, ლ. ჯამბურია, ა. ინგოროყვა, რ. ბურდიაშვილი, ა. ქუთათელაძე, გ. ცაავა, მ. ვანიშვილი, ლ. გვენეტაძე, ვ. მოსიაშვილი და სხვები.

”ხელმისაწვდომი კრედიტის” ეროვნულ პროგრამებთან, ამა თუ იმ ხარისხით დაკავშირებულია ანტიკრიზისული ღონისძიებები და სრულიად სხვადასხვა ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ტემპები.

უკანასკნელ ხანს, საბაზრო გარდაქმნების პროცესში პროცენტის როლი მნიშვნელოვნად შეიცვალა. იგი გამოვიდა როლიდან, რომელიც მას განეკუთვნებოდა ეკონომიკის განვითარების დაჩქარების სტიმულის ჩარჩოში, გეგმიური მეურნეობის კანონებით ფუნქციონირებისას. საპროცენტო განაკვეთების სიდიდეზე შეზღუდვების მოხსნამ დაუბრუნა პროცენტის თავისი თვისება და საკრედიტო ურთიერთობების განვითარების მოძრავი მოტივის ხარისხი, მოახდინა საბანკო მოღვაწეობის კომერციალიზაცია.

უკანასკნელი წლები არ იყო წარმატებული, არა მარტო საპროცენტო განაკვეთების საერთო დონის პრობლემების გადაჭრის კუთხით, არამედ იმ სფეროშიც, სადაც პროცენტი გამოიყენება, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტი.

საკმაოდ ბევრი პრობლემა დაგროვდა პროცენტული პოლიტიკის გატარების სფეროში კომერციული ბანკების დონეზე. აღნიშნულია საფასო დისპროპორცია ფულად ბაზარზე, როდესაც საბანკო კრედიტები ძალიან მაღალია მსესხებლისათვის, ხოლო პროცენტი დეპოზიტზე - ძალიან მცირე ბანკის მენაბრებისათვის. ასეთი მდგომარეობა ბანკების წინაშე აყენებს პრობლემას, რომლის გადაჭრაც მიუხედავად ყველაფრისა წარმოადგენს აუცილებლობას და რომლის განხორციელებაც მათ უხდებათ ყოველდღიურად. ამასთან ბანკები იძულებულნი ხდებიან თავიანთი გადაწყვეტილებები მიიღონ მკაცრი საკონკურენციო ბრძოლის პირობებში საბანკო ოპერაციების მოგებიანობის დაქვეითების საერთო ტენდენციების ფონზე. ეკონომიკამ, რომელიც აღმოცენდა, როგორც მეცნიერება

სიმდიდრის შესახებ, მრავალი ადრე გამოყენებული და ამჟამად არსებული რეცეპტი აღმოაჩინა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მეურნეობის მაღალეფექტურად მართვა და გამდიდრების გზების ძიება. ბუნებრივია, რომ მეცნიერების ყურადღების გარეშე ვერ დარჩებოდა სიმდიდრის მატების ისეთი მეთოდი, როგორცაა - პროცენტი.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი ეკონომიკური ფორმით პროცენტი წარმოადგენს გამდიდრების მეთოდს, ან კიდევ იმის გამო, რომ გამდიდრება პროცენტის საშუალებით არ იყო განპირობებული არაფრით, თვითონ სიმდიდრის გარდა, პროცენტმა დაიმსახურა უაღრესად ნეგატიური დამოკიდებულება ეკონომიკურ მეცნიერებაში. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ეკონომიკური მოწყობის შესახებ მეცნიერული შეხედულებების სისტემის ფორმირების პროცესი მიმდინარეობდა პროცენტის იგნორირებით - იმდენად ერთსულოვანი და უპირობო გახლდათ ეკონომიკური მეცნიერების მიერ პროცენტის უარყოფა. ასე გრძელდებოდა ამ მეცნიერების წინა ისტორიულ პერიოდში თითქმის ორი ათასი წლის მანძილზე.

ჩვენი დღევანდელი რეალობისთვის საბანკო პროცენტი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს, რომლის სიდიდე და ცვლილება ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ბანკირებისთვის, ფინანსისტებისთვის, ინვესტორებისა და ანალიტიკოსებისთვის, ასევე მეწარმეებისა და უბრალო მოქალაქეებისთვის. აქედან გამომდინარე კი ბუნებრივია, რომ საბანკო საპროცენტო განაკვეთი - ესაა მთავარი ფასი, ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობის მთავარი მაჩვენებელი. საბანკო პროცენტი არის მაკრო და მიკროეკონომიკის რეგულირების სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, რომელიც თავისი მნიშვნელობითა და სიმარტივით აღემატება ეკონომიკაზე ზემოქმედების სხვა ინსტრუმენტებს.

რა თქმა უნდა, კომერციული ბანკები თავისი ნება-სურვილით ვერ აწესებენ თავიანთი საკრედიტო პროდუქტის ფასს, ანუ მისაღები პროცენტის ოდენობას. თუ კომერციული ბანკი ბაზარზე გამოიტანს

საკრედიტო პროდუქტს საბაზროზე მნიშვნელოვნად მაღალი ფასით, იგი არ გაიყიდება, მნიშვნელოვნად დაბალი ფასის შემთხვევაში კი არადამაკმაყოფილებელი იქნება მისი ფინანსური შედეგები. კონკრეტული კომერციული ბანკის საკრედიტო პროდუქტის ფასი, ანუ საპროცენტო განაკვეთი, კონკურენტუნარიანი უნდა იყოს.

კომერციული ბანკები აწესებენ საპროცენტო განაკვეთებს, თავიანთი ქვეყნების ცენტრალური ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე ორიენტაციით, მსგავსი პრაქტიკა საქართველოშიც დანერგულია საშუალო და გრძელვადიან კრედიტებზე (მაგალითად, იპოთეკურ სესხებზე). ასეთი საპროცენტო განაკვეთის სტრუქტურაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ანაბრების პროცენტები, ანუ ყველაზე ძვირიანი მოზიდული რესურსის ფასი. პროცენტები, რომელთაც ბანკები უხდიან თავიანთ მენაბრეებს, ყოველთვის მნიშვნელოვნად ნაკლებია გაცემული კრედიტების ფასზე. ამ სხვაობის საფუძველზე ფორმირდება საბანკო მოგების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი და წყარო - საპროცენტო მარჟა.

სესხით გასხვისებული ღირებულების ზრდის წლიური პროცენტები არის სესხის გადახდის შედარებით უფრო გავრცელებული ფორმა. ზრდის წლიური პროცენტები არის გავრცელებული, მაგრამ არა ერთადერთი ფორმა საგადასახდელი ურთიერთდამოკიდებულების დროს. გათვლების ერთ-ერთ ვარიანტად შეიძლება განხილული იყოს, სესხის პროცენტებში გადახდა ნამატი გადასახადის ღირებულებიდან, რომელიც ფორმალურად არაა დამოკიდებული გადასახდელის ვადებზე. დროის წარმოებულს ასეთ საპროცენტო გადასახდელებში წარმოადგენს თვით პროცენტის განაკვეთები, რომლებიც იცვლებიან სესხის ხანგრძლივობის მიხედვით. სესხის პირობებიდან გამომდინარე, გათვლებით შეიძლება დაფიქსირდეს სესხის ღირებულებაზე დანამატის აბსოლუტური მნიშვნელობა, მაგრამ ნამატის ჯამი არ შეიძლება არ განისაზღვროს საკრედიტო გარიგების პირობებით, კერძოდ, სესხის ოდენობით და მისი ხანგრძლივობით. შესაბამისად გადასახადის აბსოლუტურ ოდენობას გამოსახული სესხის

სიდიდის ძირითად პარამეტრებთან ფარდობით სიდიდეებში მივყავართ პროცენტის ზრდასთან დროში.

პროცენტის გამოყენების, მათი ფორმირების, ზემოთ დასახელებული და სხვა პრობლემები ბანკების მოღვაწეობაში, იწვევს მათი გადაწყვეტილების თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული გადაწყვეტილების მკვეთრ აუცილებლობას. ამგვარად, მხოლოდ ფრაგმენტული ჩამოთვლაც კი არსებული პრობლემებისა, მოწმობს საბანკო პროცენტის კვლევის თემის აქტუალობას.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია საბანკო პროცენტების ფორმირებისა და გამოყენების სრულყოფა თანამედროვე პირობებში, რაც კომერციული ბანკების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კომპლექსური მმართველობითი ანალიზისა და შეფასების მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საფუძვლების შემუშავებაში მდგომარეობს.

კვლევის მიზნის შესაბამისად სადისერტაციო ნაშრომში საპროცენტო განაკვეთების დარიცხვის მეთოდოლოგიის საფუძვლებია შემუშავებული. კვლევის მიზნების მიღწევისათვის ნაშრომში შემდეგი ძირითადი ამოცანებია დასმული და გადაწყვეტილი:

- შესწავლილია საპროცენტო განაკვეთის ცნების ისტორიული რეტროსპექტივა
- ჩამოყალიბებულია ფულის დროითი ღირებულების შეფასების მეთოდოლოგია და საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები
- დამუშავებულია ფულის ღირებულების დროში შეფასების კონცეფცია და მეთოდოლოგია
- განხილულია მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის არსი და მისი გავლენა მონეტარულ ინსტრუმენტებზე
- გაანგარიშებულია საბანკო კრედიტის ძირითადი ვალისა და დარიცხული პროცენტების გაანგარიშების თავისებურებები

- დაზუსტებულია საბანკო საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრის საკვანძო ასპექტები
- შეთავაზებულია საბანკო საპროცენტო განაკვეთების გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფის საკითხები

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანს წარმოადგენს საბანკო საპროცენტო განაკვეთების გაანგარიშების, დარიცხვის, გამოყენების, მოგების ფორმირების, საინვესტიციო რესურსების შექმნის, ეკონომიკური სუბიექტების მოზიდული სახსრების გაზრდის და მათი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის დასაფინანსებლად გამოყენება.

კვლევის ობიექტს წამოადგენს საბანკო და საფინანსო სისტემის საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრასთან და გამოყენებასთან მიმართებაში განხორციელებული საქმიანობა, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის თავისებურებები, რომელიც დაკავშირებულია ფულისა და კრედიტის კატეგორიების არსთან.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. კვლევის ჩატარების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს მათემატიკური და დიალექტიკური მეთოდები, როგორც საერთო მიდგომა საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისა და დარიცხვის პრობლემების მეცნიერული გაგებისადმი და მისი ინფორმაციული უზრუნველყოფისადმი. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო საბანკო საფინანსო სისტემაში არსებული ანალიზის თეორიის მეცნიერული აპარატი, მისი მაჩვენებლების სისტემის (დაჯგუფება, შედარების მეთოდი, ინდექსური მეთოდი და სხვები) ანალიზისა და შეფასების ტრადიციული მეთოდები და მათი ეკონომიკური მეთოდებით ინტერპრეტაცია (დეტერმინირებული ანალიზის მეთოდი, ალბათობის თეორიები, შედარებით კომპლექსური შეფასების მეთოდები და სხვა). კვლევის პროცესში გამოყენებული იყო ქვეყნის, ეროვნული (ცენტრალური) ბანკის საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები, სამეცნიერო კონფერენციების მასალები და სემინარები, შესწავლილია ეკონომიკური ანალიზის, ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის, ფინანსური

მენეჯმენტის, ფინანსებისა და გადასახადით დაბეგვრის სფეროში ეროვნული და უცხოური ავტორების საერთო და სპეციალური ლიტერატურა.

კვლევის მეცნიერული სიახლე. კვლევის მეცნიერული სიახლე კონკრეტულად შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს – წარმოდგენილ ნაშრომში საქართველოსა და უცხოეთის გამოცდილების გაანალიზების საფუძველზე პირველად კომპლექსურად შესწავლილი შემდეგი საკითხები:

1. სისტემატიზირებული, დაზუსტებული და განზოგადოებულია პროცენტისა და მისი ისტორიული განვითარების თეორიული საფუძვლები;
2. ძველი სამყაროდან დღევანდელ დრომდე პერიოდში, პროცენტის ყველაზე უფრო გავრცელებული, ცნობილი თეორიების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მოცემულია პროცენტის განვითარების მეთოდოლოგიური საფუძვლების კანონზომიერებათა ფორმულირება. გაკეთებულია დასკვნები, საწარმოო ფაქტორების მეცნიერული კონცეფციების პოზიციიდან პროცენტის თეორიის შემდგომში განვითარების აუცილებლობის შესახებ;
3. პროცენტის ფუნქციები ფორმულირებულია, როგორც: ა) გასესხებული საშუალებების კაპიტალური ღირებულებების საზომი; ბ) გადახდისა და შესყიდვის საშუალება, რომლის მეშვეობით ხდება საგნით დროებითი სარგებლობის შეფასება, შექმნა და გადახდა;
4. გამოყოფილი და რანჟირებულია პროცენტის ეკონომიკური ფორმები (გამყიდველისა და საშუალებათა შემსყიდველის ფასები, ფინანსური შუამავლების ფასები), მისი სახეები (საბანკო და არასაბანკო პროცენტები, შემოსავლები მიმოქცევითი ვალდებულებებისაგან) და მათი გამოყენების სფეროები (ფულადი ბაზრის განაკვეთები, ფინანსური ბაზრის განაკვეთები) და ამის

საფუძველზე მოცემულია საბანკო პროცენტების თავისებურებათა ფართო დახასიათება ზოგადად;

5. კლასიფიცირებულია საბანკო ფასწარმოქმნის ფაქტორები, რომელთა შორის გამოიყოფა ზოგადი, აგრეთვე გასაშუალებული მოქმედების ფაქტორების ჯგუფები და პირდაპირი მოქმედების ფაქტორები, რომლებსაც მიეკუთვნება ქვეყანაში ბანკების მოღვაწეობის პირობები, მათ შორის ფულადი მეურნეობის მდგომარეობა, კლიენტურის შემოსავლების დონე, აგრეთვე ხელისუფლებისა და სხვა მარეგულირებელი უწყებების მიერ განსაზღვრული შეზღუდვების სტრუქტურა;
6. დაზუსტებულია რთული და მარტივი პროცენტების ფორმულით დარიცხვის საკითხი და დაკონკრეტებულია, რომ რთული პროცენტების ფორმულით დარიცხული დივიდენდი ძირითადად მეტია მარტივზე, გარდა 1 წლის შიგნით პერიოდში დარიცხულისა, სადაც მარტივი პროცენტების ფორმულით დარიცხული დივიდენდი მეტია რთულზე.
7. შესწავლილია პროცენტების დარიცხვის სიხშირის საკითხები და დაზუსტებულია, რომ ბანკში სარგებლის მისაღებად, ერთ კვირაზე მეტი სიხშირით მისვლა ეკონომიკურად მიზანშეუწონელია.

მიღებული შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში „საბანკო პროცენტი - მეთოდოლოგია და მისი ფორმირებისა და გამოყენების მექანიზმების სრულყოფა თანამედროვე პირობებში” განხილულია საბანკო პროცენტის როლი საკრედიტო ურთიერთობებში. ნაშრომში მოყვანილია პროცენტისა და პროცენტული ურთიერთობების თეორიული ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს პროცენტის თეორიის ევოლუციასთან დაკავშირებული პროცესების თანმიმდევრული განვითარების სტადიების მიმოხილვას, კრედიტზე გადასახდელის დანიშნულების არსის განსაზღვრას, საბაზრო ეკონომიკის პირობებში პროცენტის როლისა და მისი ფუნქციის განსაზღვრას. ნაშრომში განხილულია საბანკო პროცენტის ფორმირებისა და რეგულირების მეთოდოლოგიური საფუძვლები,

რომელიც მოიცავს საბანკო პროცენტის განაკვეთის როლის განსაზღვრას ფულადი ბაზრის სისტემაში. განხილულია ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს საბანკო კრედიტებისა და დეპოზიტების ფასების წარმოქმნაზე. შეფასებულია სტრატეგია და ტაქტიკა, რომლის მიხედვითაც ხდება ფასების წარმოქმნა საბანკო კრედიტებსა და დეპოზიტებზე. განხილულია პროცენტისა და საპროცენტო გადასახადების დარიცხვის ტექნოლოგია. ნაშრომში დასაბუთებულია საბანკო პროცენტის ფორმირების მეთოდოლოგიის დამუშავების აქტუალობა და განსაზღვრულია ამოცანები, რომლის გადაწყვეტის შემთხვევაში მოხდება საბანკო შემოსავლების პროცენტული ზრდა და ხარჯვითი ნაწილის შემცირება. დასახულია მიზნები, რომლის გადაწყვეტის შემთხვევაში განხორციელდება საბანკო პროცენტული შემოსავლების საგადასახადო დაბეგვრის ტექნოლოგიის სრულყოფა.

ნაშრომში მოყვანილი მტკიცებულებები დაფუძნებულია ძველი სამყაროს, შუასაუკუნეებისა და თანამედროვე მეცნიერთა ნააზრევის და დღევანდელი საბანკო სისტემის ფუნქციონირების ანალიზის საფუძველზე. შესწავლილია მრავალი პრობლემა, რომელიც დაგროვილია საპროცენტო პოლიტიკის გატარების სფეროში უკანასკნელი წლების განმავლობაში. დასახულია მიზანი, რომელიც წარმოადგენს საბანკო პროცენტის თანამედროვე კონცეფციის შემუშავებას პროცენტისა და პროცენტული ურთიერთობების თეორიის განვითარების საფუძველზე. აგრეთვე მათი ფორმირების და გამოყენების მექანიზმებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება თანამედროვე კომერციული ბანკების მოდერნიზაციის მაგალითზე. შედეგები და დასკვნები შეიძლება იქნას გამოყენებული:

- კომერციული ბანკების პრაქტიკულ და ანალიტიკურ საქმიანობაში;
- აუდიტორული და ბუღალტრული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, ატესტაციისა და სწავლის სფეროში;
- სასწავლებლებში სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სალექციო კურსების მომზადებისას.

ნაშრომში დამუშავებული წინადადებები და რეკომენდაციები, ასევე მეთოდოლოგიური საკითხები საბოლოო დახვეწისა და დამუშავების შემდეგ, მიყვანილი იქნება კონკრეტულ საორგანიზაციო-მეთოდოლოგიურ, მეთოდურ და პრაქტიკულ ღონისძიებებამდე და წინადადებებამდე, რომელსაც ექნება დიდი მნიშვნელობა კომერციული ბანკების მოღვაწეობის ეფექტურობის ამაღლებაში.

კვლევის შედეგების აპრობაცია და დანერგვა. შესრულებული კვლევის შედეგები აპრობირებულია ავტორის მიერ ძირითადად სამსახურში (სს "საქართველოს ბანკი") კვლევის შედეგების გამოყენებისა და სტუდენტურ აუდიტორიაში პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების პროცესში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო კვლევა შედგება შესავალის, სამი თავისა და 7 ქვეთავისაგან, დასკვნისაგან, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან, რომელიც მთლიანობაში მოიცავს კომპიუტერული წესით ნაბეჭდ 153 გვერდს.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალურობა; შესწავლილია მისი მეცნიერული დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანა, ობიექტი, საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა; ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე; ნაჩვენებია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურის მიმოხილვაში დასმული და პასუხ-გაცემულია კითხვები იმის თაობაზე, თუ საიდან მომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომში ჩამოყალიბებული პრობლემა, რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემების შესახებ, რამ განაპირობა აღებული პრობლემის მეცნიერული დამუშავების აუცილებლობა, რა ალტერნატიული პრაქტიკული მეთოდებია შემუშავებული დასმული პრობლემების გადასაჭრელად და რომელი მათგანია გამოყენებული წარმოდგენილ ნაშრომში.

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საპროცენტო განაკვეთების ცნების ისტორიულ მიმოხილვას, რამეთუ პროცენტის თემა ყოველთვის იყო მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ყურადღების ცენტრში. ჯერ კიდევ ეკონომიკურ თემატიკაზე შექმნილ პირველ ნაშრომებში ვხვდებით მევახშეობისა და პროცენტის თემას. ქსენოფონტის, სმიტის, მარქსის, ფიშერისა და კეინსის კვლევების უმრავლესობა, ამის ნათელი მაგალითია. გამომდინარე აქედან კი, აღნიშნულ თავში მიმოხილულია სწორედ ისეთი მეცნიერული კვლევები, რომლებმაც განავითარეს თეორია პროცენტის შესახებ.

ნაშრომის პირველ თავშივე განხილულია საბანკო პროცენტის სახეები, რომლებიც საკმაოდ მრავალფეროვანია და მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნით შეიძლება. გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთები შეიძლება სამ სახეობად დავაჯგუფოთ:

- საბანკო საქმის რეგულირებისთვის განკუთვნილი პროცენტები, რომლებშიც როგორც წესი შედის ცენტრალური ბანკების

რეფინანსირების, სააღრიცხვო, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნებისა და სხვა საპროცენტო განაკვეთები;

- სააუქციონო საბანკო საპროცენტო განაკვეთებს მიეკუთვნება დეპოზიტებისა და კრედიტების განაკვეთები, რომელთა დადგენა ხდება ბანკთაშორის აუქციონებზე ვაჭრობის გზით;
- საბანკო საპროცენტო განაკვეთები, რომელთაც მიეკუთვნება ბანკების მიერ უშუალოდ კლიენტებთან ურთიერთობის დროს დადგენილი პროცენტები დეპოზიტებსა და სესხებზე;

განხილულია საბანკო პროცენტის დონეზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1) გარე ფაქტორები, 2) ქვეყნის ფაქტორები, 3) საბანკო სისტემის ფაქტორები (ნახ.1.1)

1) **გარე ფაქტორებში** შედის ის ფაქტორები, რომლებიც ქვეყნის გარედან ახდენენ გავლენას ნებისმიერი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის საბანკო პროცენტის განაკვეთის დონეზე, როგორცაა:

- მდგომარეობა კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე
- რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები,
- ინვესტიციები


2) **ქვეყნის ფაქტორებში** შედის ის მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც არის კონკრეტული ქვეყნისთვის დამახასიათებელი და განპირობებულია მისი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით იმ კონკრეტული პერიოდისთვის. ეს ფაქტორებია:

- ეროვნული ეკონომიკის ღიაობა
- ინფლაციური მოლოდინი
- ვალუტის გაცვლითი კურსი
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება
- პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები
- საგადასახდელი ბალანსის მდგომარეობა
- დაბეგვრის სისტემა

3) **საბანკო სისტემის ფაქტორები**, ის ფაქტორებია, რომლებიც უშუალოდ ქვეყნის საბანკო სისტემის შიგნითაა კონცენტრირებული და დიდადაა

დამოკიდებული მის ისტორიაზე, ტრადიციებზე, განვითარების დონეზე, მის როლზე ქვეყნის ეკონომიკაში და ა.შ. ამ ფაქტორებს შორის უმნიშვნელოვანესია:

- საკრედიტო რესურსების მოთხოვნა-მიწოდება,
- კონკურენციის დონის, როგორც საბანკო პროცენტის განაკვეთზე მოქმედი ფაქტორის გავლენა,
- უცხოური საბანკო კაპიტალის მონაწილეობის ხარისხი



ნახ. 1.1 საბანკო პროცენტების სისტემაზე მოქმედი ფაქტორები

ზემოთაღნიშნული ფაქტორები გავლენას ახდენენ ზოგადად ქვეყანაში არსებულ საბანკო საპროცენტო განაკვეთების დონეზე. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევებს, ყოველივე ზემოთაღნიშნულთან ერთად, საბანკო კრედიტის დონეზე გავლენას ახდენს ცალკეული კომერციული ბანკის

ფაქტორები, კერძოდ მისი სტრატეგიული მიზნები, ადგილი და როლი საბანკო სისტემაში, მენეჯმენტის ხარისხი და ა.შ.

თუ მოვახდენთ გარკვეულ კლასიფიკაციას, თითოეული კონკრეტული გარიგებისას კომერციული ბანკის მიერ პროცენტის ნორმის გაანგარიშების დროს, მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

- საბაზო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გაიანგარიშება, მოზიდული რესურსების რეალური ფასის საფუძველზე
- ბანკის სხვა საკუთარი ხარჯები
- საკრედიტო ოპერაციების მიხედვით მომგებიანობის გეგმური ნორმა
- რისკის ფაქტორი, რომელშიც შედის მსესხებლის კრედიტუნარიანობა, უზრუნველყოფის მოცულობა და ხარისხი, კრედიტის ვადა, მსესხებლის და ბანკის თანამსრომლობის ისტორია და ხარისხი

სწორედ აღნიშნული გარემოება განაპირობებს იმას, რომ ბანკების მიერ ცალკეულ საკრედიტო პროდუქტებზე ფასი ცხადდება არა ერთი ნიშნულით, არამედ გარკვეული დიაპაზონით.

კრედიტის გაცემის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, სხვადასხვაა ამ კრედიტის არდაფარვის რისკი, შესაბამისად განსხვავებულია მათი ფასიც, რომელიც მათთან დაკავშირებული რისკების ადეკვატურია.

საპროცენტო განაკვეთის სტრუქტურაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ანაბრების პროცენტები, ანუ ყველაზე ძვირიანი მოზიდული რესურსის ფასი. პროცენტები, რომელთაც ბანკები უხდიან თავიანთ მენაბრეებს, ყოველთვის მნიშვნელოვნად ნაკლებია გაცემული კრედიტების ფასზე. ამ სხვაობის საფუძველზე ფორმირდება საბანკო მოგების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი და წყარო - საპროცენტო მარჟა.

ნაშრომის ამავე თავში შემოთავაზებულია საპროცენტო მარჟის, როგორც ბანკის წარმატებული საქმიანობის, მისი რენტაბელობის სურათის ამსახველი მნიშვნელოვანი მაჩვენებლის გაზრდის 2 გზა:

საპროცენტო შემოსავლების ზრდა, რომელთა შორის არის საკრედიტო დაბანდების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილება. სტრუქტურული ცვლილებები შეიძლება შეეხებოდეს ვადიანობას, ვალუტებს, საკრედიტო პროდუქტებს, ქვეყნის რეგიონებს და ა.შ.

საპროცენტო ხარჯების შემცირება, რაც გულისხმობს მოზიდული რესურსების მართვას, ახალი, უფრო იაფი წყაროების მოძიებას, რაც ასევე გულისხმობს, მოზიდული სახსრების პორტფელის სტრუქტურულ ცვლილებებს.

როგორც ცნობილია, მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ხასიათდება უფრო რისკიანი საბანკო საკრედიტო პროდუქტები, ამიტომ კომერციული ბანკის საპროცენტო პოლიტიკის ზემოაღნიშნული ამოცანების რეალიზაცია, არ ნიშნავს, რომ წმინდა საპროცენტო მარჟის გაზრდა მოხდეს ბანკის მიერ დადგენილი რისკის პარამეტრების უგულებელყოფის ხარჯზე. ყოველივე აღნიშნულს ართულებს ინფლაციური მოლოდინი, რომლის პირობებშიც საპროცენტო განაკვეთების პროგნოზირება და მართვა განსაკუთრებით ძნელია.

კომერციული ბანკის მიერ საპროცენტო მარჟის დონის შეფასების ყველაზე მარტივ ხერხს წარმოადგენს მისი დინამიკის მონიტორინგი. ასევე გამოიყენება მისი შედარება, კონკურენტების ან მთლიანად საბანკო სისტემის ანალოგიურ მაჩვენებლთან, აგრეთვე საპროცენტო მარჟის საკმარისობის კოეფიციენტთან.


საპროცენტო განაკვეთი რთული აგრეგატია, რომლის ფორმირება ხდება, როგორც ფინანსურ, ისე საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე. ინფლაციას, უფრო სწორად კი ინფლაციის მოლოდინს, მეტად მნიშვნელოვანი კორექტირება შეაქვს კრედიტის ფასში, მით უმეტეს თუ იგი გრძელვადიანია. საპროცენტო განაკვეთის ოდენობაზე ასევე გავლენას ახდენს, უცხოური და ეროვნული ვალუტების გაცვლითი კურსების დინამიკა და სავალუტო ბაზრის მოსალოდნელი ცვლილებები. ამ ფაქტორების გათვალისწინებით საპროცენტო განაკვეთები ორი სახის გვაქვს: ნომინალური, ანუ საბაზრო და რეალური საპროცენტო განაკვეთები.

მათი ურთიერთკავშირი კარგადაა გამოხატული ნაშრომის პირველი თავში მოცემულ მათემატიკურ ფორმულებში.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში ჩამოყალიბებულია ფულის ღირებულების დროში შეფასების კონცეფცია.

ფულის ღირებულება დროის განმავლობაში იცვლება, მისი სახით კი გამოდის სასესხო პროცენტის ნორმა. სხვა სიტყვებით, აღნიშნული კონცეფციის შესაბამისად, ფულის ერთიდაიგივე რაოდენობას დროის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ღირებულება გააჩნია. აღნიშნული ღირებულება დღეს ყოველთვის მეტია, ვიდრე ნებისმიერ მომავალ პერიოდში.


ფულის ღირებულების დროში შეფასებასთან დაკავშირებულ საბაზისო ცნებებს შორის, ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ცნებაა, რომლის მიხედვით ფულადი სახსრების ღირებულების ნაზარდისა და დისკონტირების პროცესი ხორციელდება. აღნიშნული ცნება ფინანსური გაანგარიშებების პრაქტიკაში გამოყენებული კონკრეტული სახეობების მრავალფეროვნებით განსხვავდება.



ნახ. 2.1 საპროცენტო განაკვეთის სახეობების კლასიფიკაცია, რომლებიც ფულის დროში შეფასების პროცესში გამოიყენება

საპროცენტო განაკვეთი, ფულადი სახსრების ღირებულების ნაზარდის ან დისკონტირების პროცესში გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი (მათი სამომავლო და ახლანდელი ღირებულების შეფასება) კლასიფიცირდება შემდეგი ძირითადი ნიშნების მიხედვით (ნახ.2.1)

ძირითადი საბაზისო ცნებების სისტემა ფულის ღირებულების დროში შეფასების მეთოდური ინსტრუმენტარიები, ასეთი შეფასების განხორციელებისათვის უფრო დამახასიათებელი ვარიანტების ჭრილში, თანამიმდევრულად განხილვის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული მეთოდური ინსტრუმენტარიების დიფერენცირება ხორციელდება შემდეგი სახის გაანგარიშების ჭრილში (ნახ. 2.2).



ნახ.2.2 ფულის ღირებულების დროში შეფასებისადმი ძირითადი ნიშნების სისტემატიზაცია

აღნიშნული კონცეფცია პრაქტიკაში ფუძემდებლურ როლს ასრულებს ნებისმიერი გრძელვადიანი ფინანსური ოპერაციების განხორციელებისას. ნაშრომის ამავე თავში წარმოდგენილია ფულის ღირებულების (მარტივი და რთული პროცენტების მიხედვით) შეფასების გასაანგარიშებელი ფორმულები და მაგალითები შესაბამისი პასუხებით.

მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების განაკვეთი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც სადისერტაციო ნაშრომის ამავე თავშია


წარმოდგენილი. როგორც წესი კომერციული ბანკები საპროცენტო განაკვეთებს არა საკუთარი ნება-სურვილით, არამედ ქვეყნის ცენტრალური ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე ორიენტაციით ადგენენ. მსგავსი პრაქტიკა საქართველოშიც დანერგილია საშუალო და გრძელვადიან კრედიტებზე. ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება სწრაფად აისახება ბანკთაშორის ფულად ბაზარზე და შემდგომ გადაეცემა დანარჩენ მოკლევადიან საბაზრო განაკვეთებს. მაგალითად, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების მიზნით, განაკვეთის ზრდა გამოიწვევს მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების აწევას. თუ მოსალოდნელია, რომ გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები შენარჩუნდება შემდგომი პერიოდების განმავლობაში, გაიზრდება ასევე გრძელვადიანი პროცენტებიც. აღნიშნულ შემთხვევაში, ბანკები გაზრდიან საპროცენტო განაკვეთებს სესხებსა და დეპოზიტებზე. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების პირობებში რთულდება კრედიტის ხელმისაწვდომობა. მსესხებლებს ეზრდებათ სესხის მომსახურების ფარდობა მათ მთლიან შემოსავლებთან, რაც ბანკების უფრო კონსერვატორული საკრედიტო პოლიტიკაზე გადასვლას განაპირობებს და ამცირებს ხელმისაწვდომი კრედიტის მოცულობას.

მონეტარულ პოლიტიკას შეუძლია ასევე გავლენა მოახდინოს ეკონომიკური აგენტების მოლოდინებზე ინფლაციის შესახებ. რაც უფრო მაღალია ცენტრალური ბანკის სანდოობა, მით უფრო იზრდება მისი უნარი მიაღწიოს ფასების სტაბილურობას მოლოდინების წარმართვით. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკური აგენტები არ ხედავენ საჭიროებას, რომ გაზარდონ ფასები მაღალი ინფლაციის შიშით ან პირიქით - შეამცირონ, დეფლაციის მოლოდინით. ბიზნეს პროცესების დაგეგმარება კი ხდება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით.

ქვემოთმოცემულ ნახაზზე (ნახ.2.10) შეჯამებულია, სხვადასხვა არხების გავლით, პოლიტიკის განაკვეთის ცვლილების გავლენა ეკონომიკაზე.

საქართველოს საბანკო სისტემა მაღალი დოლარიზაციით ხასიათდება.

აღნიშნული მოვლენა მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანი მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. მაღალი დოლარიზაციის პირობებში შესუსტებულია გადაცემის მექანიზმის არხები, რის გამოც მონეტარული პოლიტიკის ცვლილება შემცირებული სიმძლავრით ახდენს გავლენას ერთობლივ მოთხოვნასა და ფასების დონეზე.



წყარო: საქსტატის ეკონომიკური მონაცემები

ნახ. 2.10 მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმი

ანალიზის საფუძველზე მიღებულია დასკვნა, რომ მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ასამაღლებლად მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს გადაცემის მექანიზმის გაძლიერება. ამისათვის საჭიროა მრავალმხრივი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის დოლარიზაციის შემცირებას, ფინანსური სექტორის გაღრმავებასა და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების აქტიურ გამოყენებას.

ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება ფინანსური სექტორის გაღრმავების ტენდენციებიც (ძირითადად ფულადი და სამთავრობო ფასიანი ქაღალდების ბაზრები), რაც ასევე ხელს უწყობს გადაცემის მექანიზმის გაძლიერებას. თუმცა აუცილებელია, კაპიტალის ბაზრის შემდგომი გაღრმავება, რაც გულისხმობს ქვეყანაში კორპორატიული ობლიგაციების, წარმოებული ინსტრუმენტებისა თუ სხვა სააქციო კაპიტალის ბაზრების განვითარებას, რომელიც ამ ეტაპზე პრაქტიკულად არ არსებობს. რაც უფრო აქტიური იქნება კაპიტალის ბაზარი, მით უფრო ეფექტიანი იქნება მონეტარული პოლიტიკა. შესაბამისად, ეროვნული ბანკის (ისევე როგორც სახელმწიფოს) ინტერესებშია აღნიშნული ბაზრების განვითარება.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში ჩამოყალიბებულია საბანკო პროცენტის დარიცხვის თავისებურებები და სრულყოფის საკითხები. მოყვანილია საბანკო კრედიტების ძირისა და პროცენტის წილის გაანგარიშების მათემატიკური ფორმულები, პროცენტის დარიცხვის სხვადასხვა ხერხები და მაგალითები.

წარმოდგენილია მარტივი და რთული პროცენტების გაანგარიშების ფორმულები, რომლებიც მათემატიკოსებისთვის კარგად არის ცნობილი, თუმცა ფინანსური მენეჯერებისთვის, ერთ, მნიშვნელოვან და საყურადღებო ფაქტორზეა ყურადღება გამახვილებული, ანუ, იმაზე რომ პრაქტიკულ გაანგარიშებებში აღნიშნული ფორმულები არამარტო ერთეული მთელი რიცხვების პერიოდებისთვის, არამედ წილადური რიცხვების პერიოდებისთვისაც შეიძლება იქნას გამოყენებული და რომ, თუკი ვადა 1 წელზე მეტია, რთული პროცენტით დარიცხული შედეგი ყოველთვის მეტია მარტივი პროცენტით დარიცხულ შედეგზე, 1 წლის შიგნით პერიოდებისთვის კი პირქით, მარტივი პროცენტის ფორმულით დარიცხული დივიდენდი ანუ სარგებელი, რთული პროცენტით დარიცხულზე მეტი აღმოჩნდა.

საპროცენტო პოლიტიკა ფართე გაგებით - არის პროცენტული განაკვეთების მართვის მეშვეობით, ეკონომიკური ურთიერთობების

რეგულირებასთან მიმართებაში ერთობლივი ღონისძიებები. კომერციული ბანკების საპროცენტო პოლიტიკა საბანკო ოპერაციებიდან სუფთა პროცენტული შემოსავლის მაქსიმიზაციაზე, საკრედიტო რისკის დაზღვევაზე და ბანკის ბალანსის ლიკვიდობის მართვაზე არის მომართული.

დადასტურებულია, რომ საპროცენტო პოლიტიკის მეშვეობით, ბანკი წყვეტს შემდეგ ამოცანებს: 1) ისახავს მიზნებს, რომლის რეალიზაციაზე საპროცენტო პოლიტიკის განხორციელება არის მიმართული; 2) განსაზღვრავს ბანკის მართვის ორგანოების უფლებამოსილებებს; 3) ადგენს საბანკო ოპერაციების მიხედვით მაქსიმალურ და მინიმალურ საპროცენტო განაკვეთებს; 4) განსაზღვრავს ბანკის ქვედანაყოფს, რომელიც საპროცენტო რისკის შეფასებაზეა პასუხისმგებელი; 5) ამტკიცებს მოდელებს, რომლებიც ბანკის მიერ საპროცენტო რისკის შეფასებისათვის გამოიყენება; 6) ადგენს ინსტრუმენტარიებს, რომლებიც საპროცენტო რისკის შეზღუდვისათვის გამოიყენება.

საპროცენტო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთების დიფერენციაცია, რომელიც განისაზღვრება უპირველეს ყოვლისა საკრედიტო განაკვეთის რისკის დონით და დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: კრედიტის ხარისხის კატეგორიაზე; უზრუნველყოფის არსებობა-საკმარისობისა და ლიკვიდობაზე; დაკრედიტების ვადის, კრედიტის დაფარვის ან პროცენტების გადახდის მიხედვით გადავადების არსებობაზე; მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით აღებული ვალდებულებების დაცვაზე.

მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების პირობების დაუცველობის შემთხვევაში, ბანკი საჯარიმო პროცენტებს არიცხავს, რომელთა დონე შეუსრულებელი ვალდებულებების ხასიათისაგან არის დამოკიდებული. როგორც წესი, თუ მსესხებელი ვადაგადაცილებულ დავალიანებას უშვებს, მისდამი გამოიყენება სანქცია რეფინანსირების ორმაგი განაკვეთის მიხედვით საჯარიმო პროცენტების დარიცხვის სახით.

პროცენტული რისკის დონის განსაზღვრა და საპროცენტო რისკის მართვა, ძალზედ მნიშვნელოვანია კომერციული ბანკებისათვის, რადგან ასეთი რისკი შეიძლება დამატებითი მოგების მიღების წყაროდ გამოვიდეს. ამასთან ერთად, კომერციული ბანკისათვის, ჭარბი რისკის დონე კონკრეტულ ეკონომიკურ პირობებში, ზოგჯერ აღნიშნული ბანკის ფინანსური მდგომარეობისათვის სერიოზულ საფრთხეს ქმნის.

ე.წ. დიურაციის მეთოდი, რომელიც წარმოდგენილია ამავე თავში, საპროცენტო განაკვეთების დონის პროგნოზირებადი მოძრაობისას ბანკის კაპიტალის ღირებულების მოსალოდნელი ცვლილების შეფასების შესაძლებლობას იძლევა. მოცემული მეთოდი დაფუძნებულია დიურაციის - პროცენტული აქტივებისა და პროცენტული პასივების ერთობლივ ხანგრძლივობას შორის შეუსაბამობის განსაზღვრაზე.

კომერციული ბანკების საპროცენტო პოლიტიკა საბანკო ოპერაციებიდან სუფთა პროცენტული შემოსავლის მაქსიმიზაციაზე, საკრედიტო რისკის დაზღვევაზე და ბანკის ბალანსის ლიკვიდობის მართვაზე არის მომართული და მისი მეშვეობით კომერციული ბანკები მნიშვნელოვან ამოცანებს წყვეტენ.

ზოგადი დასკვნები

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა გვაჩვენა, რომ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ძირითადი ყურადღება ამჟამად ეთმობა პროცენტის გამოყენების ორგანიზაციის პრობლემებს. ამასთან ეს უკანასკნელი, როგორც წესი, განიხილება საბანკო მოღვაწეობის განსახილველი პრობლემების გადაწყვეტის ამა თუ იმ კონტექსტში.

გლობალური პროცესების განვითარების პირობებში მომწიფდა საბანკო პროცენტის არსის, მისი ფუნქციისა და როლის თეორიულად ახლებურად გააზრების აუცილებლობა. აგრეთვე პროცენტის გამოყენების ადეკვატური მეთოდოლოგიური ღონისძიებების, მისი ფორმირების და რეგულირების საშუალებების შემუშავება.

ჩატარებულმა სადისერტაციო კვლევამ შემდეგი შედეგების მიღების საშუალება მოგვცა:

- 1) პროცენტის, ფულის და კაპიტალის ფუნდამენტალურ თეორიებში მოცემულ შეხედულებების კრიტიკულმა ანალიზმა, არამხოლოდ აუცილებლობა გვაჩვენა, არამედ მოგვცა შესაძლებლობა პროცენტის თეორიის შემდგომი დამუშავების ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა საწარმოო ფაქტორები, ფულის ღირებულების შეფასება დროში, ინსტიტუციონალიზმის და ეფექტურობის ზღვრული ნორმები.
- 2) ფულადი სახსრების „გამყიდველები“ და „მყიდველები“ და მათი გამაერთიანებელი ფინანსური შუამავლები მოქმედებენ სხვადასხვა ბაზარზე, სადაც თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელია მოქმედების საკუთარი წესები და რომლებიც გარკვეულწილად შეზღუდულია სახელმწიფო თუ თვითრეგულირების წესებით. ხვდებიან რა ასეთი ზომების ზემოქმედების ქვეშ, პროცენტული განაკვეთები თავისი გამოყენების სფეროს მიხედვით იძენენ საერთო თვისებებს, რომელიც საშუალებას იძლევა ვისაუბროთ ამ განაკვეთებზე - როგორც ფულადი განაკვეთების, ფინანსური ბაზრების განაკვეთების

და ა.შ. შესახებ. აღნიშნულ ბაზრებზე საბანკო პროცენტები გამოდიან ბანკთაშორის კრედიტების და დეპოზიტების განაკვეთების სახით.

- 3) საბანკო საკრედიტო და დეპოზიტური განაკვეთების ფორმირების თავისებურების დახასიათების შედეგად, დადგინდა, რომ ფასები კრედიტზე დგინდება ძირითადად დეცენტრალიზებული სახით და გააჩნიათ სახელშეკრულებო ხასიათი, ხოლო ფასებისთვის დეპოზიტებზე უფრო მეტად დამახასიათებელია ცენტრალიზებული ბაზრის წესები და მზა ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობა.
- 4) იმისათვის, რომ საპროცენტო პოლიტიკა თავისუფლად იქნას განხორციელებული საკრედიტო დაწესებულებამ უნდა იცოდეს, თუ საბანკო მომსახურებების შიდა ღირებულებების კოეფიციენტი როგორ ჩარჩობში ყალიბდება. აღნიშნული მაჩვენებელი მახასიათებელია პროდუქტიულად განთავსებული სახსრების თითოეულ ლარზე მიღებული საკომისიოებითა და დანარჩენი შემოსავლებით გადაუფარავი დანახარჯების ჩამოყალიბებული სიდიდის. შესაბამისად მოცემული მაჩვენებელი შეიძლება განსაზღვრული იქნას როგორც მინიმალური პროცენტული მარჟა
- 5) კომერციული ბანკის მიერ საკუთარი საპროცენტო პოლიტიკისა და საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრისას სასურველი საპროცენტო მარჟის მისაღწევად გათვალისწინებულ უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები:
 - რისკები (საკრედიტო, საპროცენტო, სავალუტო და ა.შ.);
 - აგრესიულობა (აპირებს თუ არა იგი თავისი პოზიციების, საბანკო წილის ზრდას);
 - სამიზნე კონკურენცია (რომელი პროდუქტების მიხედვით აპირებს იგი სხვა ბანკებთან კონკურენციას);
 - პრიორიტეტები (რა არის მისთვის უფრო მნიშვნელოვანი, მოკლევადიანი მიზანი - მიიღოს მეტი მოგება, თუ გრელვადიანი - განავითაროს კლიენტებთან პარტნიორული ურთიერთობები);
 - საერთო მომგებიანობა (საპროცენტო მარჟა შეიძლება შემცირებულ

იქნეს, თუკი კლიენტები ან მათი რომელიმე სეგმენტი, არიან სხვა შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო);

- რესურსის ფასი (რა არის ბანკის მიერ მოზიდული მოკლევადიანი და გრძელვადიანი რესურსების ფასი);
- საპროცენტო განაკვეთების ზღვარი (შეიძლება ქვეყნის ცენტრალური ბანკის ან ბანკების კავშირის მიერ დაწესებული იყოს ზედა ზღვარი);

6) საპროცენტო განაკვეთების ზრდა არის სიგნალი ბანკებისათვის, რომ ეკონომიკაში გაიზარდა რისკები და შესაბამისად მკაცრდება სესხის გაცემის პირობები. ზემოხსენებული პროცესებიდან გამომდინარე, პოლიტიკისგან განაკვეთის ზრდა იწვევს ბანკების მხრიდან ეკონომიკისა და კრედიტების შემცირებას. შემცირებული სესხების ფონზე, კლებულობს როგორც ფიზიკური პირების სამომხმარებლო დანახარჯები, ასევე ფირმების საინვესტიციო მოთხოვნა. ეს კი ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას განაპირობებს და ფასებზე კლების მიმართულებით ახდენს გავლენას.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა 2 სემინარი და კოლოქვიუმი:

1. საბანკო პროცენტის ფორმირების მეთოდოლოგია (18.02.2012)
2. დისტანციური საბანკო სერვისების განვითარების სტრატეგია საქართველოში (13.02.2015)
3. საბანკო პროცენტი - მეთოდოლოგია და მისი ფორმირების და გამოყენების მექანიზმების სრულყოფა თანამედროვე პირობებში (14.02.2015)

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის მეცნიერულ შრომებში:

1. აბშილავა თ. - კომერციული ბანკის პროცენტული რისკი და პროცენტული პოლიტიკა - თბილისი, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, N 1-2, 2016.- გვ. 186-189
2. აბშილავა თ. - ფასწარმოქმნა სესხებზე და საპროცენტო განაკვეთების შემცირების პოტენციური საქართველოში - თბილისი, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, N1-2, 2016.- გვ. 183-185
3. აბშილავა თ. - კომერციული ბანკების საფასო-საპროცენტო სტრატეგია - თბილისი, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, N3-4, 2016.- გვ. 119-124

სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა:

4. სასწავლო ეროვნული უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბილისი, 2015 წ. 25-27 ივნისი